ნიანგი

ISSN 0132-6015

2-85

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი

ნაძირალა

დაძვრება და ათას ვინმეს, ცოცხლებსა თუ გარდაცვლილებს,
ლანძღავს, თათხავს, აქილიკებს, აგინებს და ათახსირებს!..

შური, ღვარძლი, ბოღმა, ცოფი არ ასვენებს, არ აძინებს!..
გველაძუობს, მორიელობს!.. (ღმერთო, რატომ გააჩინე?!.)

მტერზეცა და მოყვარეზეც გესლს თანაბრად ანაწილებს!..
სურს — საკუთარ მშობელს, ცოლ-შვილს, დას დასცინებს, ძმას დასცინებს!..

ცინიკოსობს, ნიჰილისტობს, ცუდს ადიდებს, კარგს ამცირებს!..
ამახინჯებს სინამდვილეს, აშარჟებს და ასაშინლებს!..

ვერავისში, ვერაფერში შუქს ვერ ამჩნევს, ამჩნევს ჩრდილებს!..
ყველაზე და ყველაფერზე იღრინება, აღრჭენს კბილებს!..

ცბიერებით, ვერაგობით იაგოსაც წააცილებს!..
ავსულია, სატანაა, ცოდვები აქვს (თანაც — მძიმე!..)

მუხანათობს, მუხთლობს, ფლიდობს, სულ აკრძალულს ხმარობს ილეთს!..

ყიამყრალობს, ციანმჟავობს, — ასე ყოფნას ამჯობინებს!..

მხიარული თუ გიხილა, არც აცხელებს, არც აცივებს,
გულს მოგიკლავს, მოგიწამლავს, ჩაგაწვეთებს შხამს მაშინვე!..

მასზე არ სჭრის გაფრთხილება: „ენას კბილი დააჭირე!“
მე შენ გეტყვი, შეაგონებ რამეს, ანდა — დააშინებ?!

არც სინდისთან, არც ნამუსთან არაფერი აკავშირებს!..
სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ მას და მის მსგავს კაც-ბაცილებს!..

როგორც შემოწმებამ ცხადყო. ბოლო დროს კვლავ გახშირდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სპეკულაციის მიზნით, ციტრუსებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების უკანონო გატანის ფაქტები.

ნახ. მ. აბაშიძისა

— ცხრა მთა გადმოვიარე, ამდენი საგუშაგოდან გამოვძვერი, სამშვიდობოზე გამოვედი და შენ აქ მიჭერ?

ენის გასატეხი

● **სულ** არ უხნავს, — უხრავს ოხრად, ახლა ზის და... ოჰ, რას ოხრავს!..

● **ქარი** არის თუ ქარბუქი, ბექა მექის აქებს ბუქით.

● **ფაცხაფუცხით** ნაცნობს, უცხოს ცხელ-ცხელ ქადებს უცბად უცხობს.

● **პანტე** პანტას პანტაპუნტით ფანტავს მხოლოდ კანტიკუნტად.

● **მართალ** მართას მოსამართლე მართლა რას ემართლებოდა?!

● **აქ** რომ შაქრო ყურძენს აქრობს, ზაქროს შაქრის გემო ათრობს.

● **ეწვით** კუჭი ჭუტას ჭუკებს, ფერმის გამგე ვერ ჭუკჭუკებს.

გ. ცინცხალი

ახალ საცხოვრებელ სახლში

ახალ სახლებს ახლებურად უნდა
მოვლა!
ჩვენ ვერ შევძლებთ ხარვეზების უცებ
მოგვარებას:
ხან ბინაში არა გვხვდება სანტექნიკა,
დაუძახებ სანტექნიკოსს — შოთას,
ნიკას,
ერთი წუთის სამუშაოს გაჭიმავენ,
ერთ კვირაში ერთ დეტალს ძლივს
დაგიდგამენ!..
გათბობამ ხომ ამოგვართვა ლამის
სული,
არა შველის არც ნერვები და არც
ფული!..
საქვაბეებს ყოველ დღესაც რომ
მიმართო,
ცვლის უფროსი გეფიცება, თავს
იმართლებს:
„ა, ბატონო, ას გრადუსზე აღწევს
შკალა,
მე რას მერჩით?! ბოილერი ტყუის
ალბათ!..“
ბოილერში არავინ არ დაგიხვდება,
გადაქანცულს ნერვები სულ
დაგაწყდება!..
გამოკეტილ კარში, აბა, ვისა ნახავ?
სითბოსათვის გამოსავალს ეძებ ახალს!
ნავთი!.. ნავთი!.. მისი მსგავსი —
არნახული
და ნავთქურა, სონა ბაბოს შენახული.
მაგრამ ნავთს რომ მასივებში არ
ყიდიან,
მოსატანად ჩუღურეთში ჩამოდიან!
ცხელი წყალი! — აი, კიდევ ერთი
დარდი! —
შეწყდება და... გასაპნული გამოვარდი!
გრიპი, სურდო, ყველა ერთად
მოგახტება.
მადლობა თქვი, თუ ანთება არ
შეგხვდება!..
მაგრამ მაინც ახალ ბინას რა სჯობია,
მით უმეტეს, თუ შენს ბინას აქვს
ლოჯია!
დატრიალდი ჯარასავით, აბა, მარდად
და „პრარაბთან“ მორიგებაც
გაიმართა!..
ყველაფერი აეწყობა, დამთავრდება,
ფული თუ გაქვს, ესეც მალე
გაკეთდება!
ნუ წუწუნებთ წამდაუწუმ უსუსურად,
მამა-პაპას არ ჰქონია გაზის ქურა,
მაგრამ ვიცით, შიმშილით რომ არ
კვდებოდნენ,
ონკანში თუ ცხელი წყალი
იქნებოდა, —
წინაპარი ამას არ დაგიჯერებდა!..
მაგრამ ჭუჭყით არ შეჭმულა არავინა,
რა გაჯავრებს?! მთავარია, რომ გაქვს
ბინა!..
სიმშვიდე და მყუდროება დამყარდება,
თუ მასივში ზამთარი არ ჩამოდგება!..
ამიტომაც თვით ბუნებას ვთხოვო
უნდა:
ჩვენს მასივში გაზაფხული იყოს მუდამ!

დოდო გლდანელი



ვენერა მიხეილის ასულ ნებიერიძეს (მცხოვრები ქ. ჭიათურაში, ბარათაშვილის ქ. № 23) მოსწყინდა ჭიათურის მედსანაწილის საავადმყოფოს მებუფეტედ მუშაობა და ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში გაემგზავრა.

დილიდან გვიან დალამებამდე დარბოდა მოსკოვის მაღაზიებში ჭიათურელი ვენერა ნებიერიძე. იგი მისთვის საგუნებო საქონელს ეძებდა და იშოვა კიდეც მამაკაცის მოდური შარვლები.

ჭიათურაში ჩამოსვლისთანავე ვენერას, როგორც თაფლს ბუზი, ისე დაეხვივნენ მუშტრები. ჯერ **დავით დევაძეს** მიაზომა შარვალი, ეს უკანასკნელი არც შევაჭრებია თავის საქონლის ქებაში ენად გაკრეფილ ვენერა ნებიერიძეს, ისე გადაუხადა **45-მანეთიან შარვალში 100 მანეთი!**

— როგორ?! რითი ვართ დავით დევაძეზე ნაკლები, მარტო მაგან უნდა მოიწონოს თავი ჭიათურაში მოდური შარვლით?! — გულზე მაგრად დაიკრეს მჯიღები **გიორგი გუდაძემ** და **მირიან ტაბატაძემ**, როდესაც ახალი შარვლით ჭიათურის ქუჩებში თავმომწონედ მოსეირნე დავით დევაძეს მოჰკრეს თვალი, „შურისაგან“ გაწიწმატებულნი და გულგასივებულნი მიეჭრნენ ვენერას და **45-45-მანეთიანი შარვლები 100-100 მანეთად შეიძინეს!**

— შარვლები ჩემთვის (?) მინდოდაო! — მოისაწყლა თავი სასამართლოზე **ვენერა ნებიერიძემ**, მაგრამ არ დაუჯერეს. **სასამართლოს განაჩენით მას 2 წლით დაენიშნა გამასწორებელი სამუშაოები სასჯელის სამუშაო ადგილზე მოხდით, ხელფასიდან 15%-ის დაკავებით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ქონების კონფისკაციით.**

— არმად ნაშოვნი არმად წავაო! — ეგებ ახლა მაინც დაიმახსოვროს ეს ანდაზა ვენერა ნებიერიძემ.

●

— ეს მ ე გ ო ბ რ ო ბ ა ს, ერთმანეთის გატანასა და თანდგომას, მშვიდობას გაუმარჯოს, ბიჭებო! მუდამ ასე მეგობრულად ვიყოთ ერთმანეთში! თუმცა ერთ ბრძენს ჰკითხეს: რა არის მეგობარიო? მან უპასუხა: მეორე „მე“-ო. ჰოდა, ეს მეგობრების სადღეგრძელო ბოლომდე უნდა დაილიოს! — თამადამ, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ზეინკალმა **ზაურ კარლოს ძე პაიჭაძემ** დაცლილი სასმისი თავის მეგობარს **ვ. წულაშვილს** გადასცა...

კარგად შეზარხოშებულნი იყვნენ მეგობრები, როდესაც დაიშალნენ. ზ. პაიჭაძესა და ვ. წულაშვილს ერთი გზა ჰქონდათ გასავლელი და ტროლეიბუსით გაემგზავრნენ. ბახუსი ტვინში გაუჯდათ. ტროლეიბუსში სრულიად უმიზეზოდ წაკინკლავდნენ!..

— ჩამოდი, წესი უნდა აგიგო! — თითქმის ჩამოათრია პაიჭაძემ თავისი მეგობარი გაჩერებაზე და ჯიბის დანით სიცოცხლისათვის საშიში ოთხი ჭრილობა მიაყენა.

ექიმების ჩარევით ვ. წულაშვილი სიკვდილს გადარჩა!.. **სასამართლოს განაჩენით კი ზ. პაიჭაძეს 6 წლით მოუწევს გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში ჯდომა!..**

სწორედ ზ. პაიჭაძის მსგავს ადამიანებზეა ნათქვამი: ნუ გაიჩენ რეგვენ მეგობარსო!..

●

როდესაც მამია პარმენის ძე ზვიადაძე მახარაძის გარეუბნის მომხმარებელთა საზოგადოების სოფელ მელექედურის სასაუზმის გამგე-მებუფეტედ დანიშნეს, მან სასაუზმე საკუთარ დუქნად გადააქცია და რაღაც სამიოდე თვეში 5.145 მანეთი მიითვისა.

მამია ზვიადაძე სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის პასუხისგებაში იქნა მიცემული. **განაჩენით მას მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. სასჯელის მოხდის შემდეგ 4 წლით აეკრძალა მატერიალურ პასუხისმგებელ პირად მუშაობა და დაეკისრა დატაცებული თანხის გადახდა მახარაძის გარეუბნის მომხმარებელთა საზოგადოების სასარგებლოდ.**

ეგებ ახლა მაინც დაიმახსოვროს ქართული ანდაზა მამია ზვიადაძემ: ნაცარში რომ ფეხი ჩაჰკრა, მტვერი მოგედინებაო!

●

მერაბ პავლეს ძე კაპანაძე ახალგაზრდა, 25 წლის კაცია, მაგრამ ორჯერ უკვე მოასწრო საბრალდებულო სკამზე ჯდომა. პირველად იგი 1977 წელს გაასამართლეს ქურდობისათვის და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მეორედ კი სასამართლოს წინაშე წარსდგა ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების ბოროტად დარღვევისა და პარაზიტული ცხოვრებისათვის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 1983 წლის 21 მაისს. როგორც კი თავისუფლად იგრძნო თავი, კვლავ წალმა-[illegible]რული განაგრძო და სულ „ვარიარალეს“ გაიძახოდა, მუშაობის დაწყებაზე არ ფიქრობდა!..

მერაბ კაპანაძე დაიბარეს, სადაც ჯერ არსს, და გააფრთხილეს, მუშაობა დაეწყო! საშველი რომ არ დაადგა, ხელწერილიც კი ჩამოართვეს, რომ მუშაობას დაიწყებდა, მაგრამ ნათქვამია, კუზიანს სამარე გაასწორებსო, და ასეც დაემართა. **მერაბ კაპანაძე მუქთახორობისა და პარაზიტული ცხოვრებისათვის მესამედ გაასამართლეს. ამჯერად მას სასამართლოს განაჩენით 3 წლით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.**

— საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, — იძახის მერაბ კაპანაძე, მაგრამ ახლა გვიანღაა თითზე კბენანი!..

●

1975 წ ლ ი დ ა ნ ემალებოდა თავის ცოლ-შვილს ალიმენტის გადახდისაგან **ზ. მერაბიშვილი.** დავალიანებამ 1361 მანეთი შეადგინა. ბოლოს მაინც მიაგნეს, იგი მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში დამკვიდრებულიყო.

ალიმენტის ურჩი გადამხდელი სამართალში მისცეს. **სასამართლოს განაჩენით ზ. მერაბიშვილს 1 წლით შეუფარდეს თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ ჰუმანურობა გამოიჩინა, გაითვალისწინა ის, რომ ზ. მერაბიშვილს ახალი ოჯახი შეუქმნია, ორი მცირეწლოვანი ბავშვი შესძენია, რის გამოც პატიმრობა ისეთი სასჯელით შეუცვალა, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული.**

ზ. მერაბიშვილს შევახსენებთ მაქსიმ გორკის შეგონებას: **„ბავშვები ჩვენი ხვალინდელი მსაჯულები არიან!“**

●

ორმოცდაათ წ ე ლ ს მიღწეული **ივანე გიორგის ძე ტუქსიშვილი** თაღლითობისა და ქურდობისათვის ბევრჯერ დატუქსეს, ხუთჯერ მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ხუთჯერვე გაასამართლეს, მაგრამ მის გამოსწორებას საშველი არ დაადგა. იგი ჯერ ცხვრის გამყიდველად მოევლინა მცხეთის რაიონის სოფელ წოდორეთს, სადაც ავტომანქანით მიყვანილი ნაქურდალი 63 სული ცხვრის გაყიდვა სცადა, მაგრამ ავტომანქანის დახურული ძარა რომ გახსნეს, ერთ ძარაში ერთად შეყრილი ამოდენა ცხვარი ერთიანად ამოხოცილი ნახეს. ეს ცხვარი მან გარდაბნის რაიონის სოფელ მუხროვანის მცხოვრებლებს მოჰპარა, მაგრამ შერჩა.

ცხვრის ქურდი სოფლის მეურნეობის პროდუქტების „დამამზადებლად“ მივიდა გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთში, სადაც დოყლაპიებს 7 ტონა ვაშლი დასტყუა. შემდეგ კი თითქმის 22 ტონა ვაშლი „შეაგროვა“ ზნაურისა და ქარელის რაიონების სოფლებში — ნულსა და დირბში, სადაც რვა დოყლაპია მეხილე გააცურა. მათ 42 ათასი მანეთის ზარალი ნახეს.

ბოლოს ყველა დამნაშავის გზა ციხისკენ მიდისო და ი. ტუქსიშვილს, როგორც თაღლითს, ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

●

ვართან გრიგოლის ძე დანდუროვმა, პაატა ზაქარიას ძე თოიძემ, ბესიკ ივანეს ძე შერმადინმა, ავთანდილ უშანგის ძე ქურხაშვილმა საეჭვო მეგობრობა გამართეს და რამდენიმე ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს მოქალაქეებზე. ერთ შემთხვევაში მკურნალი ექიმი გაკოჭეს და მისი ბინიდან 316 მანეთი, 5 484 მანეთის ოქროულობა, ჭურჭელი და ტანსაცმელი გაიტაცეს. მეორე შემთხვევაში მათ მოქალაქე მ. ჩ.-იას ბინიდან გაიტაცეს 25 000 მანეთი და 26 742 მანეთის ნივთები. მესამე შემთხვევაში მოქალაქე თ. წ.-რის ბინიდან 250 მანეთი და 11 801 მანეთის ნივთები წაიღეს!..

ეს ამ ყაჩაღების უკანასკნელი რეიდი იყო. შეიპყრეს სისხლის სამართლის დამნაშავენი. შედგა სასამართლო სხდომა, რომელმაც **ვ. დანდუროვს 13, პ. თოიძეს 11 წლითა და 5 თვით** თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით.

ბანდის წევრები **ბ. შერმადინი** და **ა. ქურხაშვილი** მკაცრ სასჯელს ამჯერად გადაურჩნენ, რადგან იმალებიან, მაგრამ მათი პოვნაც მოხერხდება და საკადრისად დაისჯებიან!

მ. ზაალიშვილი,
ს. ხვამლელიძე.

კალეიდოსკოპი

ანუ

ფერების არაჩვეულებრივი გამოფენა

შავი — მტკვრის და ზოგი ჩვენი სხვა მდინარის ფერი.

ლურჯი — ზოგიერთ მაღაზიაში გასაყიდი წიწილების ფერი.

ყვითელი — ზოგიერთ დიეტურ სასადილოში ნასადილევი ჯანმრთელი ადამიანის სახის ფერი.

თეთრი — საახალწლო ბაზრიდან გამოსული ადამიანის ფერი.

მწვანე — შენი სახის ფერი, როდესაც გაიგებ, რომ მეზობელსაც უშოვია... ტუალეტის ქაღალდი!

წითელი — ლოყების ფერი ცოლისა, რომელსაც დაქორწინებიდან ათი წლის შემდეგ, 8 მარტს, ყვავილებს მიართმევ!

ცისფერი — ოცნების ფერი მყიდველისა, სასწორის ისარს რომ უყურებს.

—:—:—

მწვანილი რომ არ აწონილიყო, აბა, ისე ვინ დააფასებდა?!

—:—:—

ქიმიური ფაბრიკის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ჭირი წყლისთვის გაეტანებინათ.

—:—:—

მეცნიერულმა სტატიამ — **„როგორ მკურნალობდნენ ჩვენი წინაპრები ხაშით კუჭს“** — დიდი ინტერესი გამოიწვია.

—:—:—

შაქარი რომ არ ყოფილიყო, როგორ გაადვილდებოდა ღვინისა და წვენების დამზადების ტექნოლოგია!

საგანგებო შემთხვევა

ტაქსის მძღოლმა აეროპორტიდან წამოყვანილ მგზავრს ხურდაში 5 კაპიკი დააკლო. კვლავ რომ აღარ ეჭამა სირცხვილი, მან მეტროს სალაროში წინასწარ შაურიანებად დაახურდავა თეთრი ფული.

ანდრო კოკოლია

ნახ. ნ. ხოდელისა



მუხრანისეულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაროდია

მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა...
ონკანი გაფუჭდა,
წყალი გასდიოდა...
და დრო გადიოდა, —
სანტექნიკოსი არ
მოდიოდა!..

ვითარცა ღვინო —
ქვევრიდან ხაპში —
ხაპიდან დოქში —
დოქიდან ჯამში —
სასმელი წყალი
გადადიოდა
სახლიდან კარში!..

გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა —
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი!..

გზადაგზა რწყავდნენ,
ამღვრევდნენ,
ღვრიდნენ,
ულმერთოდ რყვნიდნენ
და...
მიუხედავად ამისა,
მაინც —

გამოიარა
გორგასლის ქუჩა,
გამოიარა
რუსთველის ქუჩა,
გამოიარა
შავთელის ქუჩა,
გამოიარა
ტაბიძის ქუჩა...

და დღეს —
ზოგ-ზოგთა დაუდევრობით,
და დღეს —
ზოგ-ზოგთა უნამუსობით —
თბილისის ფართო ქუჩებში
მოდის:
ცივ-ცივი წყალი,
ცხელ-ცხელი წყალი,
ნელთბილი წყალი,
საწყალი წყალი!..

რა მოხდებოდა,
რომ თვეში ერთხელ,
ორ თვეში ერთხელ,
სამ თვეში ერთხელ
სანტექნიკოსებმა
ბინებში იარონ?!

იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!

ნიკოლოზ იოსებიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



— წელსაც ჩაგვიგდო ამ თოვლის ბაბუამ ხორცის ჩაბარების გეგმა!..

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტიდან გვაცნობეს, რომ „ნიანგის“ 1984 წლის მე-15 ნომერში გამოქვეყნებულ ფელეტონში — „ხიმინჯები ელიან!..“ — მოყვანილი ფაქტები გალის ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის მთავარი საწარმო კორპუსის მშენებლობის გაჭიანურების შესახებ სინამდვილეს შეეფერება.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსაკოლმეურნმშენის“ გამგეობამ, გაითვალისწინა, რომ საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დაქვემდებარების მარნეულის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელი ქარხანა ვერ მიაწვდიდა გადახურვის 18-მეტრიან ფერმებს, გადაწყვიტა საკუთარი ძალებით დაემზადებინა გადახურვის ფერმები ლითონისაგან. ამ მიზნით მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საპროექტო ინსტიტუტთან შეთანხმებით, მოამზადა კონსტრუქციული ნახაზები. ამჟამად დამზადებულია 18-მეტრიანი ფერმების უმრავლესობა.

გალის ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის მთავარი კორპუსის მთლიანი რეკონსტრუქცია (გათვალისწინებულია 1985 წლისათვის.

—„—„—

„ნიანგის“ 1984 წლის მე-14 ნომერში, სათაურით — „ბარათები ნიანგს“ — გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელშიც საუბარი იყო გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის კეთილმოწყობისა და სოციალურ-კულტურული მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე.

შემოწმებით გამოირკვა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია, — გვწერენ საქართველოს კპ გორის რაიონული კომიტეტიდან, — მიღებულია დროული ზომები მათ გამოსასწორებლად. 1983 წელს დამთავრდა რემონტი და 1984 წლის მაისიდან ექსპლუატაციაშია სასოფლო კლუბი, შეკეთდა წყალსადენის მაგისტრალური ხაზი, მოსახლეობა შეუფერხებლად ღებულობს სასმელ წყალს, მოასფალტდა ქ. გორთან შემაერთებელი ცენტრალური გზა, ამჟამად მიმდინარეობს შიდა სასოფლო გზების შეკეთება, მონტაჟდება ქ. გორთან შემაერთებელი სატელეფონო ხაზი.

—:—:—

„ნიანგის“ 1984 წლის მე-17 ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნა ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მიმართ სამართლიანია, — გვწერენ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდან, — მიუხედავად პარტიული და სამეურნეო ორგანოების, ასევე საკავშირო და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროთა მიერ მრავალჯერ გაწეული დახმარებისა, ქარხანაში არ მოხდა ძირეული გარდატეხა საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, ტექნოლოგიური დანაკარგების შემცირებაში.

ქარხნის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა განპირობებული იყო დაბალი საშემსრულებლო და ტექნოლოგიური დისციპლინით, კვალიფიციური კადრების დეფიციტით და ძირითადი პროფესიის მუშათა ხშირი დენადობით, აგრეთვე დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები ქარხნის პროექტსა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში, რომლებიც გამოვლინდა ქარხნის ექსპლუატაციის პერიოდში.

1983 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ქარხანაში შექმნილი მდგომარეობა, მისი მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომლის საფუძველზე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავა და ხორციელდება კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები.

ქარხანაში კვალიფიციური კადრების დეფიციტის გამო სამინისტროს მიერ პერიოდულად იგზავნება კომპლექსური ბრიგადები, რომლებიც დაკომპლექტებულია გამოცდილი სპეციალისტებით ჩვენი ქვეყნის მოწინავე ფაიფურის ქარხნებიდან. ისინი, გარდა ტექნიკური დახმარებისა, ადგილზე ახორციელებენ ძირითად მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას.

ქარხნის ტექნოლოგიურ სამსახურებზე არასაკმარისი ხელმძღვანელობისა და შრომის დაბალი ორგანიზაციის, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად დასახული ღონისძიებების შეუსრულებლობისათვის სამინისტროს ბრძანებით ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. ჯ. მაკალათია განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

გასული წლის აგვისტოში მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ზუგდიდის პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობასთან, ხოლო ოქტომბრის თვეში — საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად განიხილა ქარხანაში არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და შეიმუშავა ერთობლივი კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები.

40 ხომალდ ეკიპაჟში კაცობრი

ჟურნალი „ნიანგი“ დიდ სამამულო ომში

რეშა დიდი სამამული ომი დაიწყო, „ნიანგი“-ს 18 წლისა იყო. მოგეხსენებათ, ეს წლევანდელი ასაკია და 1941 წლის 22 ივნისიდან იგი ჯარში გაიწერა... უფრო სწრაფად კი, ასე ვთქვათ, მოსალაღნელ წვიფიდ ფრონტზე და ამ დღიდან კალამი ხიშტად აქვია!..

როგორც ცნობილია, 1941–1945 წლებში თავისი საბრძოლო-იუმორისტული პროფილით ეკონილი „ნიანგი“ საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პუბლიციისტის სრულიად საკავშიერულ და უფრესად მებრძოლ ეანის ეშსაბურებოდა.

რეკოლეციის ტრიბენი ვლადიმერ მაიაკოვსკი კალმისანთა არმიას ანდერძად უბარებდა:

ფაშისტებს ეღალატეკ
ეფეცხლის ენით,
ტყეფიანი სიტყვით,
ხიშტის სიმახვილით!

ფიალ, მუზის, შემოქმედის — ამ უზენაესი მბრძანებლის — საბრძოლი ფიალაზეს ერთ-ერთი უმუალო და პირველი მებრძოლებელი იყო ყოჩაღი ჯარისკაცი... სიფალი!

ჩვენი საუკუნის სამეცენო არსენალში დუეს 50 მილიონი ტონა ტრინიტროტოლუოლის წყალპაციის ბომბი (ალბათ ეს ფაქტი და ციფრი უკვე მოძველებულია) ეკონ, რომელიც 100 კილოტაქრის რადიუსით ეკეთ ეკეზე კ ტოვებს, ჯოჯოხეთის ატრიალებს! უფრო მეტიც: ომის ჯოჯოხეთური მანეკნს მსოფლიოს უმზადებს ნეიტროლის ბომბს!

ფეფადმენის ზეოჯზე არ არსებობს უფრო მძლავრი ძალაი, უფრო ბრძისმსმე ძალ! — ამბობენ სამეცენო საქმის სპეციალისტები.

რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ეფერდეს ეს სიტყვები, ვიტყვით: საკირაოსებისათვის კარ არსებობს „სამეფერო საიდუმლოება“, ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ ადამიანებს აქვთ უფრო მძაფრი იარაღი, სიფალი, რომლის ენერგიაზე ეფერ ოფერ ოფერეფაბი არ ეზოობენ, იგი საბაოთოს ყოველ ენერგიას ალეკვეს და ფიზიკოსს ასეროფს ყოველივეს, რასაც მიაწვდეს!..

ეს ეზოიანი ეარიან საბერის არსენალში — სიფალის ბრიხანაზე ძალაზე — მსოფლიო თავები და თავკაცები? ფოფეს-მინიონ ფალ?

ეკ ენ ა ნ ა ნ ა: **ეაეენეზ ენრა, „ენრიოფის“ ეარეეზ, ფიფაეეკეან ენრან ნიფნეკეზ.**

ვ ა ნ ე ნ ა ნ ა: **სიფალი ნეკრეკის ენრეენან ეკეთ ეკეთან ეკეთეზ ძალეკრ ინიარეკეა... ეკოეტენრა სიფალეზ ენეზოს ტენრალეზ ეეენეზ ფაფალეზ ფაფალეზ ეკეთ ფაფალეზ.**

ვ ო ლ ტ ე ნ ა: **რაც სანაკეკოი ეანდა, ის უკეკ სანიმი ეიარ ანიმ.**

ვ ა ნ ა ნ ა: **დაიფნეს ეეანეა ფეეიფოს ინანეკ ეკ, ეიანეკ ეანა ენეკეანან ეიარაკეანი ეიარ ეკანეა.**

ვ ა ნ ე ნ ა: **სიფალი ყოველ სიანიმენენეს კალეკ.**

ს ა ლ ტ ი ა ე ვ ბ ე ნ ნ ი ნ: **ეს იარაღი ძალზე ძლიერია, რადგანაც მანკანს საქეკეკეს ინე არაეეენი ენეეფეკეს, როგორე ეეენეზ ინანეა, რომ ამ ეკეკ ეკეკ ეეენეზ ენეკ ეკ ინან ენეკ ეკ ეკ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატირულ-ალოგიკური ლირიკა

გულახდილი საუბარი
№ სარევიზიო ჯგუფთან

— თქვენი კოლეგა ქრთამს იღებს,
თქვენ ხმას არ იღებთ არავინ!..
ხელს რად აფარებთ საციხეს,
რად ხართ მექრთამის მფარავნი?!
— რადა და, შენი ჭირიმე,
ჩვენც სუყველა ვართ მექრთამე
და ხომ არ დავაჭერინებთ
მექრთამეები ერთმანეთს?!.

მექრთამის „ფილოსოფია“

ხელფასის გარდა, არ ავიღო
რომ მე დღეს ქრთამიც, —
ხვალ სამარეში აღმოვჩნდები,
შიმშილით მკვდარი!..

მექრთამის ეპიტაფია

ქრთამით განათებულ
ჯოჯოხეთში ვცხოვრობ! —
აქ ერთი აქვს ფასი
კეთილსა და ბოროტს!..

ერთი ლექსის ტრაგედია

ვერ გაუძლო ამდენ ქებას,
წაკითხვას და ტაშის დაკვრას,
დაემართა გათეთრება,
რითმისა და რიტმის დამბლა!..
დაემართა არითმია,
აზრის, გრძნობის ატროფია!..
წასაკითხად მკვდარი ჰქვია
ახლა იმ ლექსს, ათსტროფიანს!..

ბათუ მელია

ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ

უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერების კვალდაკვალ

ჩვენი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს 1981 წლის მე-4 ნომერში „უ ც ნ ო ბ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი ს ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი ს“ რუბრიკით გამოქვეყნდა მწერალ გიზო ზარნაძის კრიტიკული შენიშვნა იმის თაობაზე, რომ სასურველია ე ნ გ უ რ ი ს ქ ა ღ ა ლ დ ი ს კ ო მ ბ ი ნ ა ტ მ ა ტელეფონების ნომრების ჩასაწერი ბლოკნოტები ქართულ ენაზეც გამოუშვას. სულ მალე — 1982 წლის იანვარში მივიღეთ კომბინატის დირექტორის პატივცემულ ო. ა. ფ ა ც ა ც ი ა ს პასუხი: „...მანქანა რომელიც აწარმოებს ალფავიტური უბის წიგნაკებს გამოშვებულია მოსკოვის პოლიგრაფიული ექსპერიმენტალური ქარხნის მიერ და გათვალისწინებულია რუსულ 28 ასოზე. რაც შეეხება უბის წიგნაკების ქართულ ალფავიტით გამოშვებას, საკითხი განიხლულ იქნა ტექნიკური საბჭოს სხდომაზე. მანქანის კონსტრუქციულად გადაკეთების შემდეგ შეგვიძლია გამოვუშვათ უბის წიგნაკები ქართულ 33 ალფავიტით.

მანქანის გადაკეთება შეტანილია გეგმაში და მისი შესრულების ვადაა მიმდინარე წლის პირველი კვარტალი...“

მას შემდეგ სამი გრძელი წელიწადი გავიდა და დაპირება დაპირებად დარჩა. არადა, ნამდვილად საჭიროა ქართულანბანიანი უბის წიგნაკების გამოშვებაც!

ვიმედოვნებთ, რომ კომბინატის ხელმძღვანელობაც კიდევ ერთხელ დაუბრუნდება ამ საკითხს!

საჭიროა

ჩემ წ ი ნ საკმაოდ ლამაზი, ახალგაზრდა, ტანადი ქალი დგას და მხრები საწყალობლად უცახცახებს, იგი ერთი დილემის წინაშეც დგას: — მისცემს თუ არა დისპეტჩერი სასურველ ადგილს კუპირებულ ვაგონში?!

კი, დანამდვილებით ამას ფიქრობდა მგზავრი. აბა, სხვა რა უნდა ეფიქრა რკინიგზის სალაროსთან მდგომს?

მოლარეს მარცხენა ყური დასაქმებული აქვს. იგი ზემოდან დისპეტჩერის მოწყალე ხმას დარაჯობს. მარჯვენა ხელით ჯერ კიდევ დაუნომრავ, გაუფორმებელ, დაუცხრილავ ბილეთებს ატრიალებს!..

ამ ბილეთების ცქერამ სულ გადარია ის ქალი: ამ 25 წუთის წინ თუ ერთი მხარი უთრთოდა, ახლა მეორეც აჰყვა!..

თხუთმეტი წუთის შემდეგ მეორე შავმა აპარატმა დარეკა. ყურმილი მოლარემ თავისუფალი ხელით თავისუფალ ყურთან მიიდო და გარესამყაროსთან კავშირის გაგრძელება თვალებმა ბკისრეს!..

ახლა მე ავძაგძაგდი. ჩემს შემდგომ მდგომ მალალ, შავულვაშებიან მამაკაცსაც ვერ ჰქონდა კარგად საქმე!..

მოლარე აუღელვებლად, პროფესიული სიდინჯით, მოხერხებულად უსმენს ორივე ყურმილს!..

30 წუთის შემდეგ მესამე — თეთრმა ტელეფონმა დარეკა. მოლარემ ორივე თვალი გააპარა თეთრი აპარატისაკენ, რომლის ბერკეტზე ყურმილი ჩემ წინ მდგომი ქალის მხრებივით აცეკვდა. მე რატომღაც მიმიზიდა აპარატის ფერმა, რომ ვთქვა, აპარატი ძალიან თეთრი, თოვლივით თეთრი, ბამბასავით თეთრი იყო-მეთქი, მაინც ვერ გამოვხატავ სათქმელს, ჯერ ერთი, ეს ეპითეტები და შედარებები საკმაოდ ბანალურია. საჭიროა სხვა უფრო ეფექტური შედარების მონახვა!..

გამონათქვამები

(ჟურნალი „კროკოდილი“)

● **იმდენი** ჰქონდა შემონახული შავი დღისათვის, რომ მოუთმენლად ელოდა მის დადგომას.

ლიდიის მეფე კრეზის ბიოგრაფიიდან

● **ნუ** გადადებ ხვალისათვის იმას, რაც შეიძლება საერთოდ არ გააკეთო!

პერუელი პროფესორის სახელმძღვანელოდან

● **ერთადერთი** ნათელი ლაქა მის ცხოვრებაში იყო გასაღების ჭუჭრუტანა.

დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვიდან

● **ადამიანი,** რომელსაც ყველაფერი თაროებზე აქვს დალაგებული, ცოტათი თუ განსხვავდება კარადისაგან.

ახალზელანდიელ მეავეჯეთა ხუმრობა

თარგმნა სულხან ჯორჯანელმა



ამაზონიაში ჩადენილი დანაშაული, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან — საუბარში კვლევითი ორგანიზაციის „ჩერჩ ოფ საიენტოლოჯის“ ხელმძღვანელობის წევრმა ს. სტენდერდმა, — მორიგი ეტაპია ქიმიური და ბაქტეოროლოგიური იარაღის ახალი სახეობების გამოცდის გრძელვადიან და ფართომასშტაბურ ამერიკულ პროგრამაში.

სულთამხუთავი

ნახ. გ. ლომიძისა

მესამე ყური!

აპარატი ხილბოსტანვაჭრობის, ან კოოპვაჭრობის მაღაზიებში ნაყიდი საზამთროს გულივით თეთრი იყო!..

რაკი შესაფერისი შედარება ვიპოვე, მივყვები მოვლენათა მსვლელობას:

მოლარემ მხედველობითი კავშირიც გაწყვიტა რიგში მდგომებთან.

რატომღაც ჩემ წინ მდგომ ქალს მხრები დაუოკდა, მეც გულზე მომეშვა. მაღალი მამაკაციც თითქოს დამშვიდდა. სამივე ნიშნისმოგებით ვუყურებთ მოლარის შეწუხებულ სახეს და ვლოცავთ განგებას, რომელმაც ადამიანს ორი ყური აკმარა მხოლოდ.

ამასობაში მოლარემ გადაწყვიტა ყვითელი ყურმილი დაედო და თეთრი აეღო, რაკი მესამე ყური არ ჰქონდა. საერთოდ, ყური ბევრ, ძალიან ბევრ საქმეში ეხმარება ადამიანს. იგი განგებას გაუჩენია არა მარტო სასმენლად: ყურზე შეიძლება ჩამოიდო სიგარა, სიგარეტი, ფანქარი, დაიმაგრო სათვალე, დაიჭრა ხახვი!..

ყურის ეს ფუნქციები თავის დროზე შენიშნა ზურიკელა ვაშალომიძემ („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“). ყური რომ არ ყოფილიყო, რა უნდა ექნა მასწავლებელს? ცხვირს ხომ არ აუწევდა ცელქ მოსწავლეებს? რაზე დაიკიდებდა მოლარე ოქროს საყურეებს? ერთი სიტყვით, ყურს ნამეტანი დიდი გამოყენება აქვს, მას ყველა პროფესიის ადამიანი თავისებურად ხმარობს! საინტერესოა, რამდენი ყური აქვს დისპეტჩერს? იგი ხომ ერთდროულად ათთორმეტ მოლარეს უპასუხებს, აძლევს ადგილებს მატარებელში?!.

სამი საათი რიგში დგომის შემდეგ ბილეთი ავიღე!..

მატარებლის გასვლამდე ოცი წუთით ადრე მივედი და გაოცებისაგან თვალები კინაღამ ამომიცვივდა ბუდიდან: ჩემს ადგილზე ბილეთების რიგში ჩემს უკან მდგომი მაღალი, შავულვაშებიანი კაცი დამხვდა გაჭიმული. ასეთი სიტუაციის დროს თანაბარ პირობებში (მგზავრის ასაკი, სქესი და სხვა) უპირატესობით სარგებლობს ის, ვინც ადრე მოვიდა.

სასწრაფოდ გავბრუნდი უკან და მოლარეს შევჩივლე, მაგრამ მას ორივე ყური დაკავებული ჰქონდა და, ცხადია, ვერაფერი მიპასუხა!.. ამჯერად მეორე ყურზე თეთრი ყურმილი ჰქონდა მიდებული და რიგში მდგომ ხალხს ისევ უცახცახებდათ მხრები!..

ისევ დავბრუნდი ვაგონში.

ჩემს კონკურენტს ლეიბი ქვედა საწოლზე გაეშალა, თავქვეშ ბალიშის მაგვარი საგანი ამოედო და დაძინებას აპირებდა. როცა გაიგო, რომ ბილეთის მიხედვით მეც მეკუთვნოდა ეს ქვედა საწოლი, ასეთი ვარიანტი შემომთავაზა: — სულ ერთია, ხაშურამდე თეთრეულს მაინც არ მოგვცემენ! მანამდე მე დავიძინებ, მერე თქვენ დაგითმობთ, მეტი გზა არ არის! ახლა კი შეგიძლიათ ჩემს ფეხებთან ჩამოჯდეთ!..

წინადადება მივიღე და თან წარმოვიდგინე, რა იქნებოდა, ამ ულვაშებიანი კაცის ადგილას, რიგში ჩემ წინ მდგომი ქალი რომ ყოფილიყო?!

თუმცა მე ვინ მომცა ამის ბედი!..

აი, რამდენი გაუგებრობა მოსდევს ორყურიანობას!

ამიტომ წინადადება შემომაქვს, სათანადო ორგანოებმა, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საკითხი დასვან განგების წინაშე, რათა თავისი ფონდიდან ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სადგურის მოლარეებისათვის გამოყოს რამდენიმე ყური!

ივერ ტაბიძე

გასათვლელები მოზრდილთათვის

ზოგი ხელმძღვანელი

კაბი-ნეტში ჩაკე-ტილა,
სკამზე მაგრად ზის,
ეშ-ნია ხალხში გასვლის
და და-ნახვა მზის.

ვითომ კანდიდატი

წერა, წერა, ვერ და-წერა,
აწ-ერინა სხვას!..
ახლა კანდი-დატი არის, —
ვინც რა უნდა, თქვას!..

გამყიდველი

„კოსმოსს“ ყიდის და
მყიდ-ველებს
ახდე-ვინებს მეტს,
დღისით, მზისით,
უსირ-ცხვილოდ
ყველა კლიენტს ღლეტს!..

სპეკულანტი

ხეხილს თვითონ არა ბარავს,
არცა თვითონ სხლავს,
ოქრო-ვერცხლის ფასად
ყიდის
სხვის ვაშლ-სა და მსხალს!..

მლიქვნელი

თუ ეს-ტუმრე, არ
მო-გართმევს
დასა-ჯდომად სკამს!..
ხელქვე-ითებს ხშირად
ტუქსავს,
უფრო-სებთან სვამს!..

გამფლანგველი

ოთხ კე-დელში
გამომ-წყვდეულს
არ უ-ღებენ კარს
და ქა-რისგან მოტა-ნილი
უკან მიაქვს ქარს!..

ანონიმისტი

დღე და ღამე უსა-ხელო
წერი-ლებს რომ წერს,
რად არ იცის, რომ უ-ფუჭებს
ავტო-კალამს წვერს?!

მომხვეჭელი

ცოლ-შვილს ოქრო-
ბრილი-ანტით,
ვერცხლე-ულით რთავს
და არ იცის, მოკლე ხანში
სად ა-მოყოფს თავს!..

ფინა წითელხეველი

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ნახ. ნ. ასლამაზიშვილისა

— რა ამბავია, რა ხდება?!
— რა და, მოლარემ ხურდა დააბრუნა!..

ბეჭედი

იუმორესკა

ბრძენს უთქვამს, სიკვდილი ისეთი მოვლენაა, იშვიათად თუ ვინმეს ასცდებაო! ბედი არ გინდა?! — რაღა სოკრატე ქიტიას არ ასცდა მიქელ-გაბრიელის სტუმრობა?! მერე რა კაცს?! მთელი თავისი, ესე იგი სახელმწიფო ქონება, ოჯახსა და ახლობლებს რომ შეალია! საწყობი ჩააბარეს თუ არა, აღტაცებულმა წამოიძახა, ყველაფერი ჩემიაო! და ზიდა და ზიდა ოჯახში ფული, ძვირფასი ნივთები, „დუბლიონკები“, კარგი საჭმელი და სასმელი!.. მისი ხელფასი ას ხუთ მანეთს არ აღემატებოდა, მაგრამ არც ცოლს, არც შვილს და არც ნათესავს ერთხელაც არ უკითხავს: საიდან, კაცო, ამდენი ავლა-დიდებაო?! პირიქით, ხშირად დაკვეთებსაც აძლევდნენ — ეს მოგვიტანე, ის მოგვიტანეო!..

ჰოდა, სოკრატეც ღრმად შეიჭრა როლში, ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ აღმოჩნდა განსაკუთრებული „დაცვის“ ქვეშ!..

იქ აღარავის აგონდებოდა — არც ცოლ-შვილსა და არც ნათესავ-მეგობრებს, — მრავალსართულიან სუფრებს რომ უშლიდა, — ერთი აბაზიანი ხაჭაპურიც არ მიუტანიათ კოლონიაში!.. სასჯელის ვადა დაასრულა, შინ დაბრუნდა და ერთ საბედისწერო დღეს უფალმა მიიბარა.

ბრძენს უთქვამს, შიშველი დავიბადეთ, შიშველი წავალთო! ეს ცნება სოკრატეს გარდა ყველამ იცოდა. ამიტომაც, საიქიოში ძალიან დატვირთული რომ არ გაეშვათ, მსუბუქად მოკაზმეს. ჩააცვეს სტუდენტობის დროინდელი კარგად დაუთოებული ტანსაცმელი — ახალგაზრდად გამოჩნდებაო, მტრების ჯინაზე მარჯვენა ხელის შუა თითზე ბრტყელი ბეჭედი გაუკეთეს, მაჯაზე — ძვირფასი საათი, პიჯაკის გარე ჯიბეში ავტოკალამი ჩაურჭვეს!..

სასაფლაოზე სამარეში კუბოს ჩაშვებისას განსაკუთრებით გაჰკიოდა სოკრატეს მამიდაშვილი, მოხუცი თეკლე: „არა, ვერ გავწირავ ჩემს სოკრატეს, არ ამოვათხრევინებ ქურდებს მის საფლავს! ახლავე მოაძვრეთ ბეჭედი, მოხსენით საათი! ოქროს ავტოკალამი რად უნდა?! — ზედდებულები ხომ არ უნდა გამოწეროს?! აიღეთ, შეინახეთ მის სახსოვრად!“

ჭირისუფალნი ამაოდ აწყნარებდნენ თეკლეს. ბოლოს სოკრატეს ძმამ განზე გაიყვანა და ყურში ჩასჩურჩულა: „იყურე, ქალო! ბეჭედი თითბრისაა, სამოცდახუთი კაპიკი ღირს! საათი მოოქროვილია, მექანიზმიც კი არა აქვს! პიჯაკის ჯიბეში მარტო ავტოკალმის სამაგრია ჩარჭობილი, იმ დღეს ქუჩაში რომ ვიპოვე!“

კამო შარმაზიანი

იუმორესკა

როგორც ყველასათვის ცნობილია, ერთ დროს ადამიანი გამოქვაბულში ცხოვრობდა და ქვის იარაღებს ხმარობდა.

ეს იყო ეგრეთ წოდებული ქვის ხანა (სხვათა შორის, ქვისათვის ეს ოქროს ხანა იყო).

გავიდა დრო. ადამიანმა ქვისგან თვითონ აიშენა თავშესაფარი, რომელსაც შემდეგ სახლი უწოდა (რა თქმა უნდა, ეს იყო ქვის სახლი და ჰქონდა ქვის კიბე).

სახლში დადგა ქვის სკამი. ეზო შემოფარგლა ქვებით, გააკეთა ქვაფენილი, სამშენებლო მასალად იხმარა წვრილი ქვები — ქვიშა.

შემდგომში ადამიანმა ქვა გამოიყენა მარცვლეულის დასაფქვავად (ასე გაჩნდა წისქვილი).

ასე და ამგვარად, ორ მილიონ წელზე მეტია გასული, რაც ქვა ადამიანის სამსახურშია.

ზოგი ქვის სიკეთეს ვერ ამჩნევს და ამბობს, რა შავ ქვად მინდაო! ამის მთქმელს ავიწყდება ან არ იცის, თუ რამდენ სითბოსა და ენერგიას აძლევს ადამიანს შავი ქვა.

ქვა საერთოდ ნიშნავს უსიცოცხლობას, უმოძრაობას, გაყინვას, გარინდებას, დუმილს...

მიუხედავად ამისა, ქვა შეიძლება გაჩნდეს, გაიზარდოს, გამრავლდეს...

ქვა ზოგჯერ ისტორიულ როლს ასრულებს — ქვათა ღაღადი ნათელს ჰფენს წარსულს.

პურ-მარილი ქვაზე დადე, გამოივლი, წინ დაგხვდებაო, — გვასწავლის ერთი ანდაზა. ეს, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ ჩვენს დროში ამას ცოტა სხვანაირად აკეთებენ: ჯერ გაიგებენ, ვის ეკუთვნის ის ქვა, და მერე ფიქრობენ, ღირს თუ არა მასზე პურ-მარილის დადება.

მეორე ანდაზა ამბობს: უსწავლელი ქვაზე დაჯდა და ქვა ქვას დაემატაო (ალბათ ბევრს უნახავს ქვაზე ჩამომჯდარი ჩაჭრილი აბიტურიენტი).

რძალი ზოგჯერ ჭექა-ქუხილით გამოდის ასპარეზზე, მაგრამ როცა მასზე ძლიერს, ქვასავით მაგარ დედამთილს წააწყდება, მშვიდდება.

ტყუილად არაა ნათქვამი: მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო!

ქალს შეუძლია, ქმარი ცივ ქვაზე დაასახლოს, მაგრამ ამავე დროს ის დედამთილის სიპ ქვაზე დასმასაც ახერხებს.

მიუკარებელ ქალზე ამბობენ: ქვასავით ცივიაო!

ზოგს ქვასავით მაგარი მუშტი აქვს და ერთი დარტყმით წაგაქცევს, ზოგს კი ისეთი ძალა აქვს, შეუძლია კუდით ქვა გასროლინოს!

მიუხედავად იმისა, რომ ქვა შეიძლება გატყდეს, მაინც ამბობენ: გატყდი, ქვა ხომ არ ხარო!

ადამიანის კვაჭობის საზომად ზოგჯერ ქვას იყენებენ. მაგალითად, ამბობენ: ეს ისეთია, ქვიდან წყენს გამოადენსო!

ქვიდან წვენის გამოყვანა არც ისე იოლი საქმეა, მაგრამ რაც უფრო დიდხანს იმუშავებ „წვენებში", მით უფრო ადვილად გააკეთებ ამას.

უფრო აგრესიულად განწყობილ კვაჭს მოთმინება არ ჰყოფნის უცადოს, თუ როდის გამოყონავს ქვიდან წვენი. ამიტომ ის ქვას გახეთქს და ისე გააჩენს იმას, რაც სურს.

ზოგი ისე მაგრად გრძნობს თავს, ქვას ააგდებს და თავს შეუშვერს, მაგრამ თავის შეხვედრა ქვასთან, როგორც წესი, ქვის სასარგებლოდ მთავრდება.

№ 48
7.11 1985

— რას არიგებენ?
— „სამ მუშკეტერს"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში მოხვედრილი ქვა ზოგჯერ კლავს კაცს, ხოლო თუ გადარჩა, შეიძლება ქვის სროლა დააწყებინოს! მიუხედავად ამისა, მაინც გაიგონებ: თავში ქვა უხლიაო!..

რას გააწყობ! ზოგს საუბედუროდ, ქვის გული აქვს და იმასაც კი ამბობს, ჩემს მერე ქვა ქვაზე დადუღებულაო!

გიგლა ბახტაძე



სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 2, (1684) იანვარი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **გაბუა ამირეჯიბი, ნოდარ ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 24. 12. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29. 1. 85 წ. ქაღალდის ზომა 60 × 90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 2893 უე 05038 ტირაჟი 142.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси; пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137

ამერიკული საათი

პოლიტიკური ფელეტონი

ᲘᲛ ს პ ე ქ ტ ა კ ლ ე ბ ს შორის, რომლებიც ამერიკულ სცენაზე ამ საახალწლოდ დაიდგა, ამერიკული ცხოვრების წესს ყველაზე უკეთ გვიჩვენებს „მარკ ტეიპერ ფორუმში“ დადგმული პიესა „ა მ ე რ ი კ უ ლ ი ს ა ა თ ი“.

სპექტაკლს სულაც არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ქუჩის საათების მსგავსად მხოლოდ აწმყო დრო აჩვენოს. მისი ციფერბლატის ფონზე ისტორია და თანამედროვეობა ერთად ითვლის წამებსა და წუთებს. თენდება და ღამდება „დიდი დეპრესიის“ შავბნელი დღეები, მოჩანან ოცდაათიანი წლების დადამბლავებული ამერიკა, გაუბედურებული რიგითი ამერიკელები!..

„დიდი დეპრესიის“ აჩრდილი სრულებითაც არ ჩრდილავს სპექტაკლის ღირსებას, იგი უფრო მდიდარ ამერიკას აჩნია ლაქად. ამ ლაქას შემოუნახავს უკურნებელი სოციალური სნეულებების — სიღატაკის, უმუშევრობის, სულიერი გამოფიტვისა და ზნეობრივი დაჩაჩანაკების, შიმშილის შიშის გამომწვევი მიკრობები, რაც ახალ-ახალი ეპიდემიებითა და პანდემიებით იმუქრება!..

ცალკეული სცენები მძაფრად აღვიძებენ ამერიკელთა ხსოვნას— ახალ სიცოცხლეს ანიჭებენ გარდასულ სოციალურ კრახს. ერთმანეთს ცვლიან ფერმერთა გაკოტრება, შრომის ბირჟებზე ამტყდარი ციებ-ცხელება, ზედახორა უფასო სუპის მიმღები პუნქტის მისადგომებთან, სამუშაოს მიღების ამაო ლოდინი, სასოწარკვეთილთა თვითმკვლელობის მცდელობა...

მაყურებელი იძაბება, თანდათან უჩნდება იმის შიში, რომ საცაა გაჩერდება ამერიკული საათი და ცათამბჯენებსა და ყველა ავენიუს ერთდროულად მოიცავს დამბლა, მილიონობით ამერიკელის იმედებს ერთი დაკვრით მოუღებს ბოლოს თავს დამტყდარი უბედურება, ქვას ქვაზე აღარ დატოვებს მათი კონსტიტუციური უფლებებისაგან, დაუნდობლად ამოუსვრის ლაფში ადამიანურ ღირსებას!..

მაყურებელი საბოლოოდ რწმუნდება, რომ ოქროს კერპის სატახტოში მთელი ეკონომიკური და სოციალური სისტემა თავისი მექანიზმით ის საათია, რომლის ზამბარა მხოლოდ ომებით, შეიარაღებისა და კაცისკვლის ბინძური ბიზნესით იქოქება!..

არავისთვის დასამალი არ არის ის, რომ „დიდი დეპრესიის“ წლებში გაჩერებული ამერიკული საათი მეორე მსოფლიო ომის ჩხაპვრალი ხელით დაიქოქა და ამ დაქოქვამ იგი აქამდე ამუშავა, მაგრამ როდემდე ეყოფა იგი?!.

აი, ეს კითხვა აწამებს მილიონობით რიგით ამერიკელს, მაგრამ არავის ძალუძს ამაზე პასუხის გაცემა!..

დიახ, ამერიკული საათის ჩამუქებულ ციფერბლატს შიშითა და ძრწოლით შეჰყურებენ ამერიკელები და არა მარტო ამერიკელები, — მისი ისრების მოძრაობას ფხიზლად ადევნებენ თვალს მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები!.

მის დასაქოქად ამაოდ ავარჯიშებს კუნთებს პენტაგონი, ამაოდ ზრდის რეიგანის ადმინისტრაცია სამხედრო შეიარაღების ხარჯებს!..

მსოფლიოს ხალხები არ დაუშვებენ, რომ ამერიკული საათი მესამე მსოფლიო ომის ავბედითი ხელით დაიქოქოს!

ელგუჯა მერაბიშვილი
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი